ოქმი:ო135. 13524277001
თარიღი:03/10/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-9

დ. მესტია 27.09. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, თ. დადეშქელიანი, ი. რატიანი, ლ. პაკელიანი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, შ. ცინდელიანი, მ.გელოვანი. ლ. ქალდანი. რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u>

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ბ. კვიციანი, გ. დადვანი, გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, ვ, ფილფანი. ი. გირგვლიანი, ლ. პირველი, მ.რატიანი, მ. გოშუანი. შ. გულედანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი მოვალეობის შემსრულებელი თ. დევდარიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლ. ჯაფარიძე.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 20 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.”

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელ კაერისა და სოფელ სოლში სახელწოდების არმქონე ცენტრალური ქუჩისათვის არაბული ციფრებით სახელდების შესახებ".

/მომხსენებელი:ლ.ჯაფარიძე; თანამომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

3. „მესტიიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №11დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე."

/მომხსენებელი:თ.დევდერიანი; თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

4. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი:თ.დევდერიანი; თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის Nგ-135.135233631 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე," მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს Nგ-135.135242434 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი:თ.დევდერიანი; თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

6. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ".

/მომხსენებელი:ლ.გულედანი; თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ"**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------20
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № g-135. 135242711 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“
მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკრბულოს კომისიების თავმჯდომარეების მიერ მოწოდებული მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა,
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე -----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება . „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“
განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №::g-135. 135242712 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. ჯაფარიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელ კაერისა და სოფელ სოლში სახელწოდების არმქონე ცენტრალური ქუჩისათვის არაბული ციფრებით სახელდების შესახებ”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მომართვა, რომ მუხრან შუკვანის ქუჩის მოხაზულობის დაზუსტების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: სოფელ კაერსა და სოფელ სოლში ცენტრალური ქუჩისათვის (უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის) სახელის მინიჭების აუცილებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას, ხოლო სააგენტო წარმოადგენს მხოლოდ მარეგისტრირებელ ორგანოს, ითხოვენ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტმა ქუჩების არაბული ციფრებით სახელდებისთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემა და სააგენტოსთვის მოწოდება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა -- მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდების, სახელწოდებათა ნორმალიზების, რეგისტრაცია აღრიცხვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების მიზნით შეიქმნია დროებითი სამუშაო ჯგუფი. დამსწრე საზოგადოებას გააცნო კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოები, რომელიც გაიგზავნა საჯარო რეესტრში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ---- ზ.ჩართოლანი.

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელ კაერისა და სოფელ სოლში სახელწოდების არმქონე ცენტრალური ქუჩისათვის არაბული ციფრებით სახელდების შესახებ". განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135242713 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდერიანმა „მესტიიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/ და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №11დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე."

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო " მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №11 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი: განსახილველი დადგენილების პრეამბულაში აქტის გამოცემის საფუძვლად არასწორად არის დასახელებული საკანონმდებლო ნორმები. კერძოდ, პრეამბულაში მითითებულია „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის არარსებული 93-ე მუხლი, ხოლო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ" ქვეპუნქტი კი შეეხება ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას. ამდენად, აუცილებელია განსახილველი დადგენილების პრეამბულის შესაბამისად რედაქტირება. გარდა ამისა, წესის მე-4 მუხლში დაკონკრეტებულია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს პერიოდს - 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე, ამდენად, განსახილველი დადგენილების ძალაში შესვლის დროს მოქმედებდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს

წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №11დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №-13 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.
დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №-14 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდარიანი ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის Nგ-135.135233631 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს Nგ-135.135242434 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“.

მომხსენებელმა ისაუბრა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული სამართლებრივი ექსპერტიზის მიერ გამოვლენილი ხარვეზის შედეგად განკარგულების პრეამბულაშიც შევიდა ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად

შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №-135.135233631 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №-135.135242434 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №-:-135. 135242714 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ”.

სამსახურის უფროსმმა ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, მძიმე კლიმატიდან გამომდინარე სამსახურის საქმიანობა იწყება აპრილის თვიდან. მესტიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაიგეგმა **15 898 322** ლარის სამუშაოების შესრულება.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სხვადასხვა პროექტებისთვის გამოყოფილია:

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 7 613 976 ლარი,
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 500 097 ლარი,
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 284 000 ლარი,
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 1 574 000 ლარი და
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე კაპიტალური გრანტის სახით გამოყოფილი იქნა 450 000 ლარი.

მიმდინარე წლის 6 თვეში ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 8 552 812 ლარი, რაც წლიური გეგმის 55 %-ს შეადგენს. 6 თვის გეგმა კი 108 %-ით შესრულდა. შესრულებულ სამუშაოთა უმეტესი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. გასულ 6 თვეში გზებისა და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაციაზე ნაცვლად 3 800 000 ლარისა (წლიური გეგმა განისაზღვრა 7 600 000 ლარის ოდენობით) შესრულდა 5 702 400 ლარის სამუშაოები. გეგმა შესრულდა 150 %-ით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის 6 თვეში სასმელი წყლის სისტემების მშენებლობასა და კეთილოწყობას მოხმარდა 577 323 ლარი. მათ შორის:

- ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 500 000 ლარი
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან 77 323 ლარი

2024 წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს ლენჯერში ნესგუნისა და ლემსიის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა. გასულ 6 თვეში შესრულდა 420 00 ლარის სამაუშაოები.

დაიწყო ბეჩოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების წყლის სისტემის, სათავე ნაგებობისა და რეზერუარის მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის

შესახებ”.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №-:g-135. 135242715 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი